საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3497

სააღდგომო ეპისტოლე 2026

„შთახედ შენ ქვესკნელთა ქვეშე ქვეყანისათა, და შეჰმუსრენ მოქლონნი საუკუნოდ ჰყრობილთა შებორკილებულთანი და სამდღე მკვდარი, ვითარ იონა ვეშაპით, ეგრეთ აღსდეგ დაფლავით „

(სააღდომო პარაკლისი, გალობა VI)

აღდგომილი ქრისტეს მიერ საყვარელო მამანო და ძმანო.

როდესაც თვალთმაქცი ფარისეველნი და სადუკეველნი ჩვენ უფალი იესო ქრისტეს მიუახლოვდნენ საცდუნებლად და მისგან „სასწაული ზეციდან“ (მთ. 16, 1) მოითხოვეს, მან უპასუხა მათ და ყველა დროის მსგავს უკეთურთ, რომ მათ მხოლოდ „იონა წინასწარმეტყველის სასწაული“ მიეცემოდათ (მთ. 16, 4).

როგორც იონამ დაჰყო უვნებლად ვეშაპის მუცელში სამი დღე, შემდეგ კი ნაპირზე გამოვიდა, ასევე უფალი, ჯვარს რომ ეცვა და სული განუტევა თავისი ადამიანური ბუნებისამებრ, სამი დღე დაჰყო სიკვდილის უდიდესი ვეშაპის მუცელში, შემდეგ კი აღდგა.

წმიდა გრიგოლ პალამა აღნიშნავს: “თვით მარადიული სიტყვა ღმრთისა, რომლის წინასახე იყო იონა, ზეციდან დედამიწაზე ჩამოვიდა, ვით იონა იოპიაში. და როგორც იონამ განვლო ტალღების ღელვა, ისე განვლო განსაცდელნი და ვნებანი, სიკვდილის მეშვეობით დედამიწის ყველაზე ღრმა წერტლი შევიდა, ჯოჯოხეთ მა ისევე შთანთქა, როგორც ვეშაპმა – იონა“. (ქადაგება 39, თქმული ლიტში, 11, ЭПЕ 10,გვ. 506).

უფლის აღდგომა იყო, არს და იქნება ამ სამყაროს ისტორიის ყველაზე დიდი სასწაული, ყველაზე დიდი მოვლენა; რამეთუ საუბარია სიკვდილზე სრული გამარჯვებისა და მარადიული სიცოცხლისა და უკვდავების ზეიმზე!

* * *

ძვირფასო ძმანო!

ქრისტეს გარეშე მცხოვრებმა ადამიანებმა, როგორც წესი, იციან

და აკეთებენ მხოლოდ იმას, რაც წარმავალ ბიოლოგიურ ცხოვრებას ემსახურება, თუმცა ბოლოს და ბოლოს, მაინც წაბილწავენ და ანადგურებენ ხოლმე მას. ხოლო ჩვენი მოწყალე და ყოვლადსახიერი უფალი იესო ქრისტე, ჩვენი სიცოცხლე და აღდგომა, ყველაზე მეტად შენდობის, შეწყალებისა და ცხონების წყაროა.

რამეთუ ჯოჯოხეთშიც, „დედამიწის ქვესკნელში“, მან ღვთაებრივი ძალითა და მეუფებით შემუსრა ჯოჯოხეთის ბორკილნი, რათა განთავისუფლება მიენიჭა ჯოჯოხეთის საბრალო ტყვეებისთვის და მარადიულ სიცოცხლეში მიეყვანა ისინი, ვინც იწამა მისი, ანუ ღირსეულნი, მამამთავარი ადამი და მისი მართალნი შათამომავალნი.

წმიდა ეპიფანე კვიპრელი აღნიშნავს:“ ღმერთმა ჯოჯოხეთში ჩასვლით, განურჩევლად კი არ გაანთავისუფლა ყოველნი, არამედ ისინი, ვინც იწამა მისი: ყოველნი მართალნი, რომელნიც განუწყვეტლივ შეღაღადებდნენ იქიდან და ცხონებას ევედრებოდნენ“ (სიტყვა მაცხოვრის ღვთაებრივი დაფლვის შესახებ, PG 43, გვ. 40, 453).

ამიტომ ახლა მართალთა სულები აღარ ჩადიან ჯოჯოხეთში, როგორც ეს იყო აღდგომამდე, არამედ უფალთან მიემართებიან და საყოველთაო აღდგომისა და მეორედ მოსვლამდე „ უფლის წიაღში“ განისვენებენ.

* * *

ძვირფასო ძმებო!

ამ საოცარი მხიარულების დღეს ჩვენ ვხარობთ და ვზეიმობთ. იწყება მომავალი საუკუნის ახალი ცხოვრება.

წმიდა გრიგოლი ნოსელი ამტკიცებს, რომ :“ ვნებათა შემდგომ სიხარულმა მოაღწია, [უფალი] აღდგა და მისმა სხეულმა უკვდავება და უხრწნელობა შეიმოსა“ (სიტყვა V, წმიდა ნათელმოსილი აღდგომის შესახებ, PG 46, გვ. 688).

განკაცებული ღმერთი ქრისტე ახლა გვიჩვენებს ახალი ქმნილებისა და განახლების „ახალ ადამიანს“ და გვიბოძებს ჩვენ, როგორც მისი წმიდა ეკლესიის, ანუ მისი სხეულის წევრებს, თავისი მადლის ნიჭებს:

- სახარებისეულ მშვიდობას და კურთხევას ომებისა და გოდების სამყაროში;
- იმედსა და სიხარულს სასოწარკვეთილობისა და სევდის სამყაროაში;
- სინათლესა და სიცოცხლეს შიდა ურთიერთდაპირისპირებებსა და სიბნელეში ჩაფლულ სამყაროში;
- შენდობას, უსაზღვრო და მარადიულ სიყვარულს სიძულვილით, მტრობითა და შუღლით აღსავსე სამყაროში!

გულწრფელი რწმენითა და სიყვარულით შეუვრდებით აღდგომილ ქრისტეს, დაე სინანულით შევთხოვოთ ჩვენი სულიერი განკურნებისა და გაჯანსაღების შესახებ, ვნებებსა და ცოდვაზე გამარჯვების

შესახებ, ვითხოვოთ სიმტკიცე და სიმამაცე მუქარისა და ხორციელი სიკვდილის წინაშე.

დაე, მხურვალე სიყვარულით ვეზიაროთ მის წმიდა ნიჭებს, სისხლსა და ხორცს, რათა ქრისტესმატარებელნი და ქრისტესნაირნი გავხდეთ; მოთმინებითა და იმედით ვიმყოფებოდეთ მის წმიდა მორჩილებაში, დაე მთელი გულით შევუნდოთ „ყოველთა აღდგომისა გამო“, და ჩვენი სულის მთელი ძალით შევძახოთ:

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

წმიდა აღდგომა 2026

† ათენის მთავარეპისკოპოსი კალინიკე

და საბაერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელ ქრისტიანთა ეკლესიის

წმიდა სინოდის წევრები